ტექნიკური დავალება

CNF/2026/GEO-SA

ძირითადი ინფორმაცია

სრული დასახელება:	**თუშეთის დაცული ლანდშაფტისთვის გამაფრთხილებელი ნიშნების საინფორმაციო დაფების დიზანის შემუშავება და მათი დამზადება**
სამუშაო ადგილი:	საქართველო, ვიზიტით შერჩეულ დაცულ ტერიტორიებზე
ხანგრძლივობა:	ოქტომბერი 2026 -დეკემბერი 2026
დაწყების თარიღი:	ოქტომბერი 2026
კონტრაქტის ტიპი:	ანაზღაურება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე
შეთავაზების წარდგენის ბოლო ვადა:	23 ოქტომბერი, 2026 ორშაბათი, 18:00 საათამდე
შეავაზების წარდგენის წესი:	შეთავაზება უნდა გაიგზავნოს ელ-ფოსტაზე: recruiting@caucasus-naturefund.org
დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:	მარიამ სულხანიშვილი, კონსერვაციის და სოციალური ოფიცერი, msulkhanishvili@caucasus-naturefund.org

კავკასიის ბუნების ფონდის შესახებ

კავკასიის ბუნების ფონდი წარმოადგენს კონსერვაციულ არა-მოგებაზე ორიენტირებულ სატრასტო ფონდს, რომელიც შეიქმნა 2007 წელს გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ფედერალური სამინისტროს მხარდაჭერითა და გერმანიის განვითარების ბანკის (KfW), კონსერვაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (Conservation International) და ბუნების მსოფლიო ფონდი – გერმანიის (WWF Germany) მეშვეობით.

სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს დაცული ტერიტორიების ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების ხელშეწყობის მიზნით, გრძელვადიანი დაფინანსების და მენეჯმენტის დახმარების უზრუნველყოფით კავკასიის ბუნების ფონდი ხელს უწყობს კავკასიის უნიკალური ფლორის, ფაუნის და ეკოსისტემების კონსერვაციას მომავალი თაობებისთვის და ამავე დროს, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

კავკასიის ბუნების ფონდის მიერ დაცული ტერიტორიების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებას საოპერაციო და საკადრო დანახარჯების შევსებით და შესაძლებლობების გაძლიერებას დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესების მიზნით ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ბრაკონიერობა, ხე-ტყის ჭრა და სხვა უკანონო ქმედებებზე რეაგირება, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვანი სახეობების და ბუნებრივი ეკოსისტემების მონიტორინგი, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ტურიზმისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

განსახორციელებელი პროექტის მონახაზი

2023 წელს კავკასიის ბუნების ფონდმა (CNF) შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის სისტემის (ESMS) სახელმძღვანელო, რომელშიც აღწერილია მიდგომა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების იდენტიფიცირებისა და მართვის მიმართ. შერჩეული მიდგომა უზრუნველყოფს CNF-ის მიერ დაფინანსებულ აქტივობებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების იდენტიფიცირებას და მათი დონის შეფასებას. მიდგომა უზრუნველყოფს, რომ გადაწყვეტილების მიღების საწყის ეტაპზე იდენტიფიცირებული და შეფასებულია რისკები და საშუალო, მნიშვნელოვან და მაღალ რისკებთან მიმართებით შესაძლებელი ხდება შემარბილებელი ღონისძიებების გამოვლენა და განხორციელება, რაც რისკების მინიმუმამდე შემცირებას შეუწყობს ხელს.

2024-2025 წლის განმავლობაში რისკების შეფასება ჩატარდა 17 დაცული ტერიტორიისთვის[1]. რისკის შეფასების წარმოდგენილ ანგარიშებს თან ახლავს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა, სადაც იდენტიფიცირებულია ძირითადი შემარბილებელი ღონისძიებები. ერთ-ერთ მნიშვნელოვან რისკად, ყველა დაცული ტერიტორიისათვის და დაცული ლანდშაფტისთვის, გამოვლინდა ტერიტორიის დაბინძურება საყოფაცხოვრებო ნარჩენებით და მეცხვარე ძაღლების თავდასხმები, შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია რომ მომზადდეს გამაფრთხილებელი ნიშნებიდა განთავსდეს იმ ადგილებში, რომლებიც განსაკუთრებით მიმზიდველია ტურისტებისთვის.

თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე ტურისტული სეზონის განმავლობაში მცირდება ბუნებრივი იზოლაცია და მკვეთრად იზრდება ვიზიტორთა ნაკადი. ტერიტორიის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც ტრადიციული მეცხოველეობა/ტრანსჰუმანური მესაქონლეობა მჭიდროდ ერწყმის ტურისტულ მარშრუტებს, წარმოიქმნება ორი ძირითადი გამოწვევა:

1. **ვიზიტორთა უსაფრთხოება და მწყემსი ძაღლების ზონები:** ტურისტულ ბილიკებსა და სამოძრაო გზებთან სიახლოვეს მდებარე საზაფხულო საძოვრებსა და საზაფხულო სადგომებთან (საქონლის/ცხვრის ფერმები) გადაადგილდებიან მეთვალყურე/მწყემსი ძაღლები. ინფორმირებულობის ნაკლებობამ შესაძლოა გამოიწვიოს კონფლიქტური სიტუაციები. საინფორმაციო/გამაფრთხილებელი ბანერების მიზანია ვიზიტორებისთვის ქცევის წესების გაცნობა, სიფრთხილისკენ მოწოდება და შესაძლო ინციდენტების პრევენცია.
2. **ნარჩენების მართვა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა:** ვიზიტორთა მაღალი კონცენტრაციის ადგილებში (საბანაკე, საპიკნიკე ზონები, სოფლების შესასვლელები) იზრდება გარემოს დანაგვიანების რისკი. ბანერები უზრუნველყოფს ვიზიტორთა ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას და მოუწოდებს მათ "არ დატოვო კვალი" პრინციპების დაცვისკენ.

გარდა ამისა, თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე არსებულ საოჯახო სასტუმროებსა და სასტუმროებში ვიზიტორები ატარებენ დროს უშუალოდ დასვენებისა და კვების პროცესში. ამ სივრცეების ეფექტურად გამოყენების მიზნით, იგეგმება სპეციალური, მაღალი გამძლეობის (ლამინირებული/პლასტიკური ბაზის) კომპაქტური საინფორმაციო პოსტერების დამზადება და სასტუმროების მფლობელებისთვის გადაცემა, თვალსაჩინო ადგილებში (მისაღები, სასადილო ოთახები, მისასვლელი ჰოლი) განთავსების მოთხოვნით.

[1] ალგეთის, ბორჯომ-ხარაგაულის, ჯავახეთის, ყაზბეგის, კინტრიშის, მტირალას, თუშეთის , ფშავ-ხევსურეთის, ვაშლოვანის, ლაგოდეხის, მაჭახელას, ბაწარა-ბაბანეურის, კოლხეთის და ქობულეთის დაცული ტერიტორიები, თუშეთის, თრუსოს და არაგვის დაცული ლანდშაფტები.

სამუშაოს მიზანი და ამოცანები

წინამდებარე დავალების მიზანია, თუშეთის დაცული ლანდშაფტის ვიზიტორების ინფორმირება ნარჩენების უსაფრთხო მართვასა და დაცულ ლანდშაფტში უსაფრთხო გადაადგილების შესახებ.

დავალება 1: მომზადდეს განსათავსებელი გამაფრთხილებელი ნიშნებისა და საინფორმაციო დაფების ტექსტები და დიზაინი, რომელიც შეთანხმდება კავკასიის ბუნების ფონდთან (CNF) და თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციასთან. უნდა მომზადდეს 2სხვადასხვა შინაარსის გამაფრთხილებელი ნიშანი და 1 საინფორმაციო ბანერი:

1. მწყემსი ძაღლებისა და საძოვრების გამაფრთხილებელი ნიშანი (უსაფრთხოების ზონები)
2. ნარჩენების მართვისა და გარემოსდაცვითი გამაფრთხილებელი ნიშანი
3. საინფორმაციო ბანერი: წესები/რეგულაციები თუშეთის დაცულ ტერიტორიაზე ქცევის შესახებ, რომელიც მოიცავს:
    a. მოტოტექნიკითა და კვადროციკლებით გადაადგილება: მოძრაობის შეზღუდვა/აკრძალვა საფეხმავლო ბილიკებზე, ალპურ მდელოებსა და მგრძნობიარე ეკოსისტემებში (გრუნტის/ნიადაგის დაზიანების პრევენცია).
    b. ცეცხლის დანთების წესები: ცეცხლის დანთება მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ, უსაფრთხო ადგილებში და კოცონის უყურადღებოდ დატოვების აკრძალვა.
    c. ნარჩენების მართვა: "არ დატოვო კვალი" პრინციპი, ნარჩენების შეგროვება/გატანა.
    d. თევზაობა და ნადირობა: დაცული ტერიტორიის ფარგლებში თევზაობისა და ნადირობის მოქმედი რეგულაციები და შეზღუდვები.
    e. მცენარეული და კულტურული საფარის დაცვა: ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანების აკრძალვა.
    f. მწყემსი ძაღლები და საძოვრები: მოკლე რეკომენდაციები უსაფრთხო დისტანციისა და ქცევის შესახებ.

Გამაფრთხილებელი ნიშნები და ბანერი უნდა იყოს ორენოვანი - ქართული და ინგლისური. მათი დიზაინის შემუშავების პროცესში შემსრულებელს უნდა ჰქონდეს მჭირდო თანამშრომლობა თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციასთან და კავკასიის ბუნების ფონდთან.

ჩასაბარებელი სამუშაო 1: სამი სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო დაფის საბეჭდი ვერსია, რომელზეც დატანილი იქნება ინფორმაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე.

დავალება 2: საინფორმაციო დაფების დაბეჭდვა და თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციისთვის გადაცემა

გამაფრთხულებელი ნიშნები: 1. მწყემსი ძაღლებისა და საძოვრების გამაფრთხილებელი ბანერები (უსაფრთხოების ზონები) (18 ცალი) და 2. ნარჩენების მართვისა და გარემოსდაცვითი ბანერები (32 ცალი) უნდა შეესაბამებოდეს საფეხმავლო ბილიკების მონიშვნისა და გეგმარების შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში (დანართი 1) მოცემულ სტანდარტებს. აღნიშნულ ბანერებს უნდა ჰქონდეთ ჩარჩო და სადგამი, რომელიც შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ ნორმებს. ნიშნები დაბეჭდილი უნდა იყოს ისეთი მასალით, რომ გაუძლოს თუშეთის დაცული ლანდშაფტის კლიმატურ მახასიათებლებს.

საინფორმაციო დაფა/პოსტერი: წესები/რეგულაციები თუშეთის დაცულ ტერიტორიაზე ქცევის შესახებ უნდა იყოს შემდეგი მახასიათებლების:

- ფორმატი/მასალა: A3 ან A2 ფორმატის წყალგაუმტარი, ლამინირებული ან მკვრივი პლასტიკური (PVC) დაფა, რომელიც მდგრადია ცვეთისა და ტენიანობის მიმართ.
- დიზაინი: თანამედროვე ინფოგრაფიკა (ვიზუალური პიქტოგრამები/პიქტოგრაფიული სიმბოლოები), რათა აღქმა იყოს სწრაფი და მარტივი ნებისმიერი ენობრივი ბარიერის მქონე ვიზიტორისთვის.
- საჭირო რაოდენობა: 150 ცალი (თუშეთის მასშტაბით მოქმედი ყველა საოჯახო სასტუმროსა და სასტუმროს სრული დაფარვისა და რეზერვის გათვალისწინებით).

ჩასაბარებელი სამუშაო 2: გამაფრთხილებელი ნიშნები სადგამებით და საინფორმაციო დაფები დაბეჭდილია და გადაცემულია თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციისთვის:

1. მწყემსი ძაღლებისა და საძოვრების გამაფრთხილებელი ნიშნები (უსაფრთხოების ზონები) (18 ცალი)
2. ნარჩენების მართვისა და გარემოსდაცვითი გამაფრთხილებელი ნიშნები (32 ცალი)
3. საინფორმაციო დაფა/პოსტერი: წესები/რეგულაციები თუშეთის დაცულ ტერიტორიაზე ქცევის შესახებ (150 ცალი)

სამუშაოს შესრულების განრიგი

ჩასაბარებელი სამუშაო	თვე		
	ოქტომბერი 2026	ნოემბერი 2026	დეკემბერი 2026
ჩასაბარებელი სამუშაო 1			
ჩასაბარებელი სამუშაო 2			

შემსრულებლის კვალიფიკაცია

- მომწოდებელს უნდა ჰქონდეს მსგავს პროექტებში მუშაობის გამოცდილება (ეროვნული პარკები, დაცული ტერიტორიები, ტურისტული მარშრუტები).
- უნდა წარადგინოს არანაკლებ 3 დასრულებული ანალოგიური პროექტი.
- უნდა წარადგინოს შესრულებული სამუშაოების ფოტომასალა.

შეთავაზების წარდგენის წესი

მომსახურების მომწოდებელმა უნდა წარადგინოს შეთავაზების სრული პაკეტი ქართულ ენაზე, მათ შორის, მოცემული უნდა იყოს სულ მცირე შემდეგი:

- მსგავსი პროექტების მონაწილეობის დამადასტურებელი მასალა;
- მოკლე შეთავაზება საბეჭდი მასალის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ
- ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის პროფილი ან/და ძირითადი ექსპერტების რეზიუმეები, რომლებიც ჩართული იქნებიან პროცესში;
- დროში გაწერილი სამუშაო გეგმა/გრაფიკი;
- სატენდერო წინადადების დეტალური ხარჯთაღრიცხვა ლარში ექსელის ფორმატში;

კავკასიის ბუნების ფონდმა შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/მასალები ზევით აღწერილი შეთავაზების საწყისი პაკეტის წარდგენის შემდეგ.

შეთავაზება უნდა გაიგზავნოს ელ-ფოსტაზე: recruiting@caucasus-naturefund.org არაუგვიანეს 23 ოქტომბრისა.

მომსახურების ფასი

კონტრაქტის და სამუშაოს აღწერილობით განსაზღვრული ამოცანების სრულად და დამაკმაყოფილებლად განსახორციელებლად კავკასიის ბუნების ფონდი (CNF) გადაიხდის ერთიან თანხას, რომელსაც მომსახურების მომწოდებელი წარადგენს სატენდერო დოკუმეტაციაში, კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისად, ასევე სამუშაო პროგრამის და განზრახული მიდგომის შემდგომი დეტალიზების საფუძველზე. შემოთავაზებულ ბიუჯეტში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი ყველა ხარჯი და თანხა, შრომითი ანაზღაურება, ტრანსპორტირების, დღიური საცხოვრებელი ხარჯები, მგზავრობის ხარჯები, გადასახადები, ზედნადები ხარჯები და მომსახურებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხარჯი.

დამატებითი ინფორმაცია

შეთავაზების მომზადებისას გაღებული ნებისმიერი ხარჯი წარმოადგენს განმცხადებლის პასუხისმგებლობას და კავკასიის ბუნების ფონდის მიერ არ ანაზღაურდება. მომსახურების მომწოდებელს უფლება აქვს დადოს ქვეკონტრაქტები, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის. თუ მომსახურების მომწოდებელი ითვალისწინებს ქვეკონტრაქტორების გამოყენებას, ის იღებს სრულ პასუხისმგებლობას მათ მიერ უზრუნველყოფილ მომსახურებაზე. მთლიანი საქმიანობის ერთ ან რამდენიმე ქვეკონტრაქტორისთვის გადაცემა ნებადართული არ არის. თუ გათვალისწინებულია ქვეკონტრაქტორების გამოყენება, შეთავაზების პაკეტი ასევე უნდა შეიცავდეს განზრახული ქვეკონტრაქტორების გამოცდილების აღწერას და შესაბამის რეზიუმეებს, ასევე ყველა განზრახული ქვეკონტრაქტორის მიერ ხელმოწერილ ინტერესის გამოხატვის დეკლარაციას, სადაც აღწერილი იქნება თანამშრომლობის გათვალისწინებული ფორმა, განსაზღვრული იქნება წამყვანი მომსახურების მომწოდებელი, მოცემული იქნება სამუშაოს განაწილება და ა.შ. კავკასიის ბუნების ფონდთან ნებისმიერი კონტრაქტის ხელმოწერამდე მომსახურების მომწოდებელს მოეთხოვება ყველა ქვეკონტრაქტორთან ოფიციალური ხელშეკრულების დადების, მათ შორის, ერთობლივი და ინდივიდუალური ვალდებულებების განსაზღვრის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულების წარდგენა. კავკასიის ბუნების ფონდი ვალდებული არ არის დადოს კონტრაქტი, თუ მიჩნეული იქნება, რომ წარდგენილი შეთავაზებები ვერ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მომსახურების მომწოდებელი იმოქმედებს, როგორც დამოუკიდებელი კონტრაქტორი კავკასიის ბუნების ფონდთან დადებული კონტრაქტის საფუძველზე.
განმცხადებელი უნდა იყოს შესაბამისობაში საქართველოს გარემოსდაცვით და სოციალურ კანონმდებლობასთან, ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ შემუშავებულ გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან.

დავუკავშირდებით მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.